შპს ქართულ-ინგლისური სკოლა

„ბრიტანიკა“

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
(I-VI კლასები)

დაწყებითი საფეხურის მისია

- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა;
- საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- წაკითხულის გააზრებისა და მათემატიკაში ფიქრისა და აზროვნების უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- დამოუკიდებლობის, თვითშეფასებისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სასწავლო პროცესის აღწერა

დაწყებით საფეხურზე საგაკვეთილო პროცესში იწყება 9:00 . გახანგრძლივებული სწავლება, რომელიც მიმდინარეობს 15.00დან-18.00მდე, შეთავაზებულია I-III კლასებში. გახანგრძლივებლი ჯგუფებისთვის განსაზღვრულია შუადღის კვება. დღის მეორე ნახევრის მასწავლებლები ამეცადინებენ მოსწავლეებს ქართულ ენაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. სადამრიგებლო საათი შეთავაზებულია კვირაში ერთჯერ.

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
(VI I- IX კლასები)

საბაზო საფეხურის მისია

- საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება;
- მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლის დამოუკიდებლად სწავლის (სწავლის სწავლა) უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარების ხელშეწყობა;
- აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისათვის.

სასწავლო პროცესის აღწერა

სასწავლო პროცესი იწყება 9:00 საათზე და მთავრდება 15.05 საათზე.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა, სკოლაში არის დამატებითი ფაკულტატური მომსახურეობის ფართო არჩევანი. კერძოდ,

1. ის მოსწავლეები, რომლებიც მობილობის წესით გადმოდიან სკოლაში და ჩამორჩენა აქვთ საგნებში, მათ ენიშნებათ დამატებითი მეცადინეობა 45 დღის განმავლობაში, მშობელთან შეთანხმების საფუძველზე.
2. სკოლის ის მოსწავლეები, რომელებიც ავადმყოფობის ან გარკვეული მიზეზების გამო გაცდენილი საათების გამო, ჩამორჩა საგნებში, მშობელთან შეთანხმებით, მასწავლებლები უტარებენ მათ დამატებით გაკვეთილებს კვირაში ორჯერ google. meet-ის პლატფორმით დღის მეორე ნახევარში.
3. სკოლაში ფუნქციონირებს ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ჯგუფები მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. მოსწავლეები, მშობელთან შეთანხმებით, ნებაყოფლობით ერთვებიან ჯგუფის მეცადინეობაში. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ google. meet-ის პლატფორმით დღის მეორე ნახევარში. სადამრიგებლო საათი ტარდება კვირაში ერთჯერ.

საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - **საბაზო განათლების ატესტატს.**

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
(X- X I I კლასები)

საშუალო საფეხურის მისია

- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

სასწავლო პროცესი იწყება 9:00 საათზე და მთავრდება 15.05 საათზე.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა, სკოლაში არის დამატებითი ფაკულტატური მომსახურეობის ფართო არჩევანი.

1. სკოლის ის მოსწავლეები, რომელებიც ავადმყოფობის ან გარკვეული მიზეზების გამო გაცდენილი საათების გამო, ჩამორჩა საგნებში, მშობელთან შეთანხმებით, მასწავლებლები უტარებენ მათ დამატებით გაკვეთილებს კვირაში ორჯერ google. meet-ის პლატფორმით დღის მეორე ნახევარში.
2. სკოლაში ფუნქციონირებს ეროვნული ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ჯგუფები მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. მოსწავლეები, მშობელთან შეთანხმებით, ნებაყოფლობით ერთვებიან ჯგუფის მეცადინეობაში. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ google. meet-ის პლატფორმით დღის მეორე ნახევარში.
3. XII კლასის მოსწავლეებს, მშობელთან შეთანხმებით, უტარდებათ დამატებითი მეცადინეობა იმ საგნებში, რომელსაც ისინი აბარებენ

ეროვნულ მოსაღებ გამოცდებზე(საბუნებისმეტყველო საგნები, გეოგრაფია). მეცადინეობა თითოეულ საგანში ტარდება სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ, კვირაში ორჯერ.

4. X-XI-XII კლასის მოსწავლეებს, მშობელთან შეთანხმებით, უტარდება დამატებითი გაკვეთილები ინგლისურ ენაში, სადაც მოსწავლეები ემზადებიან კემბრიჯის სასერტიფიკატო გამოცდებისთვის. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ google. meet-ის პლატფორმით დღის მეორე ნახევარში.
5. X-XI-XII კლასის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის“ პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც თეორიული მეცადინეობა ინგლისურ ენაზე, ასევე გასვლითი ღონისძიებები პროფესიულ სასწავლებლებში და საწარმოებში.

სადამრიგებლო საათი ტარდება კვირაში ერთჯერ.

საშუალო საფეხურის დამლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს-**სრული ზოგადი განათლების ატესტატს.**